



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ქართული ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

55

ირან-საქართველოს დიპლომატიური
ურთიერთობების მოკლე მიმოხილვა

ლევან ასათიანი

საქართველოს უსწრის
საქართველოს უსწრის



2016



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

ლევან ასათიანი

**ირან-საქართველოს დიპლომატიური
ურთიერთობების მოკლე მიმოხილვა**

55

2016



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით.

რედაქტორი: რუსუდან მარგიშვილი
ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე წიგნის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის, ელექტრონული ან მექანიკური ფორმით.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2015 წელი

ISSN 1512-4835

ISBN 978-9941-0-8514-7

ირანსა (1935 წლამდე სპარსეთი) და საქართველოს შორის ათასწლოვანი ურთიერთობების გამოცდილებაა დაგროვილი, რომელიც სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში საკმაოდ განსხვავებულა თავისი ზოგჯერ მტრული და ზოგჯერ მოკავშირული ხასიათით. ისტორიული მახსოვრობა ორივე ერს შენარჩუნებული აქვს, შესაბამისი და ხშირად განსხვავებული ნარატივით.

1801 წელს რუსეთის იმპერიაში საქართველოს „ინკორპორირების“ შემდეგ ორ ქვეყანას შორის უშუალო საზღვარი მოიშალა და პირდაპირი ურთიერთობებიც შეიზღუდა. თუმცა თბილისში, როგორც ადმინისტრაციულად რუსეთის იმპერიის „ამიერკავკასიის ოლქის“ ცენტრში, ირანული სავაჭრო კაპიტალი საკმაოდ იყო წარმოდგენილი.

თუ არ ჩავთვლით სუვერენული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხანმოკლე ისტორიის (1918-21 წწ.) დროინდელ კავშირებს, ჩვენს ქვეყნებს შორის ორმხრივი ურთიერთობების წყვეტა მე-20 საუკუნის 90-იან წლებამდე გაგრძელდა.

ქართველ და ირანელ ოფიციალურ პირებს შორის პირველ კონტაქტებს ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლამდე, საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის დეკლარირებისთანავე, ჰქონდა ადგილი. სწორედ მაშინ, 1991 წლის შემოდგომაზე, გამოჩნდნენ ირანელი დიპლომატები საქართველოში. თეირანიდან მათ დავალებული ჰქონდათ პრეზიდენტ გამსახურდიასთან შეხვედრა, რათა უშუალოდ ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელისაგან მიეღოთ ინფორმაცია ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე (მათ თბილისში უკვე საკმაოდ დაძაბული პოლიტიკური ფონი დახვდათ – დანყებული იყო ოპოზიციის ანტისამთავრობო გამოსვლები), საბჭოთა კავშირთან/რუსეთთან ურთიერთობების პერსპექტივებზე, ირან-საქართველოს ორმხრივი თანამშრომლობის შესაძლებლობებზე, სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებსა და რეგიონული უსაფრთხოების საკითხებზე.

ვიზიტი ფაქტობრივად არაოფიციალური (საბჭოთა კავშირი, როგორც ქვეყანა, სულს კი ლაფავდა, მაგრამ ჯერ საბოლოოდ ჩამოშლილი არ იყო), გაცნობითი ხასიათისა იყო და ამიტომ ირანელი დიპლომატებისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა გამსახურდიას მხრიდან ირანის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის საკითხის დაყენება. ამ საკითხებზე ირანელ დიპლომატებს საქა-

რთველოს იმდროინდელი უზენაესი საბჭოს საგარეო კომიტეტშიც ჰქონდათ საუბარი.

ირანელები ამკარად ხედავდნენ, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა უკვე გარდაუვალი იყო და მათ მალე ერთი ზესახელმწიფოს ნაცვლად სამხრეთ კავკასიაში რამდენიმე ახალ პარტნიორთან მოუწევდათ თანაცხოვრება. ამიტომ ასეთი დაინტერესება საქართველოს, როგორც კავკასიის პოლიტიკური ცენტრის მიმართ აბსოლუტურად ლოგიკური იყო.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ (1991 წლის 26 დეკემბერს საბჭოთა კავშირმა, როგორც სახელმწიფომ, ოფიციალურად შეწყვიტა არსებობა), გასული საუკუნის 90-იან წლებში, სწორედ ამ ახალი გამონწვევების და შესაძლებლობების გათვალისწინებით შეუდგა ერაცთან ხანგრძლივი და ქვეყნის ეკონომიკისათვის დამანგრეველი ომიდან ახლად გამოსული ირანის იმდროინდელი ე.წ. „პრაგმატიკოსი“ მთავრობა, პრეზიდენტ რაფსანჯანის მეთაურობით, თავისი ინტერესების ჩამოყალიბებას პოსტსაბჭოთა სივრცეში და, კერძოდ, კავკასიაში.

რუსეთის ინტერესების გათვალისწინება აუცილებელი პოსტულატი იყო ირანისათვის, თუმცა ირანს (სპარსეთს) კავკასიასთან ურთიერთობების თავისი, ისტორიული გამოცდილება ჰქონდა და საკმაოდ ენერგიულად შეუდგა თავისი პოლიტიკის ჩამოყალიბებას.¹

ბატონი ედუარდ შევარდნაძის საქართველოს „სახელმწიფო მეთაურის“ თანამდებობაზე ყოფნისას (1993 წ.) ირანელი ემისრები კვლავ გამოჩნდნენ თბილისში. მათი მისია ამჯერად ჩვენი სახელმწიფოს ხელმძღვანელის (საქართველოს პრეზიდენტად ედუარდ შევარდნაძე ოფიციალურად 1995 წელს აირჩიეს), საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრობის გამოცდილებისა და საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე პოლიტიკოსის, ირანის ისლამურ რესპუბლიკაში მიწვევა იყო. იმდროინდელი ირანი ჯერ კიდევ საერთაშორისო იზოლაციაში იმყოფებოდა (აქტიური ურთიერთობები პოსტსაბჭოთა სივრცეში ირანის ისლამურ რესპუბლიკას მხოლოდ

1 1992 წლის თებერვალში ისლამური რევოლუციის წლისთავის საზეიმო ღონისძიებებზე მიწვეულმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, ბატონმა თამაზ გამყრელიძემ, რომელიც საქართველოს იმდროინდელი მთავრობის რწმუნებებით იყო აღჭურვილი და ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მაღალი რანგის თანამშრომელმა ბაჰრამ ყასემიმ თეირანში ხელი მოაწერეს **პირველ ორმხრივ დოკუმენტს** – მემორანდუმს „საქართველოს რესპუბლიკასა და ირანის ისლამურ რესპუბლიკას შორის პოლიტიკურ ურთიერთობათა დამყარებისა და ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის პრინციპების“ თაობაზე.

საფარმურად ნიაზოვის დროინდელ თურქმენეთის რესპუბლიკასთან ჰქონდა) და ქართველი პოლიტიკოსის ვიზიტი ქვეყნის პრაგმატიკოსი მთავრობის ინტერესებში იყო. ე. შევარდნაძე ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტ რაფსანჯანის მიპატიჟებას დათანხმდა.

აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ სუვერენული საქართველოს სახელმწიფო მეთაურის პირველი ოფიციალური ვიზიტი სწორედ ირანის ისლამურ რესპუბლიკაში გაიმართა, რაც თავისთავად ხაზგასასმელი ფაქტია. ვიზიტი ორივე მხრიდან სერიოზულად იყო მომზადებული – ხელი მოეწერა 22 შეთანხმებას თანამშრომლობის თითქმის ყველა მიმართულებით. ვიზიტის შედეგად იმდროინდელ „პოსტსაბჭოთა“ საქართველოს რეგიონში გაუჩნდა კეთილმოსურნე სახელმწიფო, რომელთანაც, ერთ-ერთ პირველთან, დაიწყო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები. ირანმა თბილისში უკვე 1993 წელს გახსნა საელჩო. ჩვენმა საელჩომ ირანის ისლამურ რესპუბლიკაში 1994 წლის ბოლოდან დაიწყო ფუნქციონირება. პირველი ელჩები თბილისსა და თეირანში იყვნენ ფერეიდუნ ჰაყბინი და ჯემშიდ გიუნაშვილი.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და ირანის ისლამურ რესპუბლიკასთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შემდეგ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები პოლიტიკურ, სავაჭრო-ეკონომიკურ და სამეცნიერო-კულტურულ სფეროებში მეტ-ნაკლები ინტენსიურობით ვითარდებოდა, რაც დამოკიდებული იყო გარე ფაქტორებზეც. ორმხრივ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებში საქართველოსაც და ირანსაც (ბევრად ნაკლებად) უწევდათ თავიანთი უფრო მნიშვნელოვანი და წონიანი სტრატეგიული პარტნიორების ინტერესების გათვალისწინება.

ირან-საქართველოს ორმხრივი ურთიერთობა რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორით უნდა განისაზღვროს, კერძოდ:

- ირანის ისლამურმა რესპუბლიკამ ერთ-ერთმა პირველმა ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა, გახსნა საელჩო თბილისში და უპირობოდ მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს.
- შედგა უმაღლესი დონის – საქართველოს სახელმწიფო მეთაურის ედუარდ შევარდნაძისა (1993 წ.) და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის (2004 წ.) ვიზიტები ირანის ისლამურ რესპუბლიკა-

ში. 1995 წელს ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტი ალი აქბარ ჰაშემი რაფსანჯანი ოფიციალური ვიზიტით ეწვია საქართველოს.

- 90-იან წლებში ინტენსიური იყო მთავრობის წევრების, უპირველეს ყოვლისა, საგარეო საქმეთა მინისტრების (ალ. ჩიკვაიძის, ი. მენაღარიშვილის, გ. ბეჟუაშვილის, გრ. ვაშაძის – საქართველოდან და ველაიათის, ხარაზის, მოთაქის – ირანიდან) ვიზიტები თეირანსა და თბილისში.
- შეიქმნა და ამუშავდა ორმხრივი სამთავრობათაშორისო ეკონომიკური კომისია, რომლის სხდომები რეგულარულად ტარდებოდა ორი ქვეყნის დედაქალაქებში. ირანის ამჟამინდელი პრეზიდენტი ჰასან რუჰანი ორჯერ სტუმრობდა საქართველოს, ჯერ მეჯლისის ვიცე-სპიკერის (1995 წ.) და შემდგომ ირანის ეროვნული უშიშროების უმაღლესი საბჭოს მდივნის რანგში (2001 წ.).
- ირანის ისლამური რესპუბლიკა 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის დროს ერთგული დარჩა 1979 წლის ისლამური რევოლუციის დროინდელი ლოზუნგისა – „არც დასავლეთი, არც აღმოსავლეთი, არამედ ისლამური რესპუბლიკა“ და რუსეთის მხრიდან სერიოზული ზეწოლის მიუხედავად, მხარი არ დაუჭირა არც მის სამხედრო ექსპანსიას საქართველოში და არც ე.წ. „სამხრეთ ოსეთისა“ და აფხაზეთის „დამოუკიდებელი სახელმწიფოები“ აღიარა.²
- 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის აქტიური ფაზის დასრულებიდან სულ რამდენიმე კვირაში ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი მანუჩერ მოთაქი ეწვია თბილისს (მისი მოსკოვსა და ბერლინში ვიზიტების დასრულებისთანავე), „ახალი საგარეო-პოლიტიკური მიდგომებისა და პრიორიტეტების გამოსაკვეთად სამხრეთ კავკასიის მიმართულებით“, რაც საქართველოს მიმართ ერთგვარი სოლიდარობის გამოხატვადაც შეიძლება აღქმულიყო.³ ირანის ისლამურმა რესპუბლიკამ პირველმა

2 ირანელები საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის განცხადებით შემოიფარგლნენ და გორის მოსახლეობას ჰუმანიტარული დახმარება გამოუგზავნეს.

3 გასათვალისწინებელია, რომ ამ დროს თეირანსა და თბილისს შორის ურთიერთობები სერიოზულად იყო გაცივებული საქართველოს ტერიტორიაზე ირანის მოქალაქის, ამირჰოსეინ არდებილის, დაკავებისა (2007 წლის სექტემბერი) და მისი აშშ-ში ექსტრადიციის (2008 წლის იანვარი) გამო.

გამოიჩინა ინიციატივა და ყოველგვარი წინაპირობის გარეშე, საქართველოს მოქალაქეებისათვის ირანში უვიზო შესვლის თაობაზე სამთავრობო გადაწყვეტილება მიიღო. 2010 წლის ნოემბერში თბილისში ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ქვეყნებს შორის უვიზო მიმოსვლის შესახებ.

- შესაბამისად, 2011-2013 წლებში საგრძნობლად გაიზარდა ირანელ ვიზიტორთა რაოდენობა საქართველოში, დაფუძნდა მრავალი ირანული კომპანია. ბევრმა ირანელმა მოქალაქემ მიიღო საქართველოში ბინადრობის უფლება, ზოგიერთმა კი – მოქალაქეობაც. თბილისში გაიხსნა ირანული კულტურის ცენტრი, ბათუმში აღადგინა მუშაობა ირანის გენერალურმა საკონსულომ.
- მძიმე ენერგეტიკული კრიზისების დროს (1994 წლის დეკემბერი და 2006 წლის თებერვალი) ირანის ისლამურმა რესპუბლიკამ მიიღო პოლიტიკური გადაწყვეტილება და ორჯერვე მიაწოდა ბუნებრივი აირი საქართველოს, რითაც გარკვეულწილად რუსეთის ინტერესებს დაუპირისპირდა რეგიონში.
- ირანული მხარე სისტემატურად აფინანსებდა ქართველი ირანისტი მოსწავლეების, სტუდენტების, პედაგოგებისა და მეცნიერების მივლინებებს ირანში.⁴

რაც შეეხება ირან-საქართველოს შორის თანამშრომლობის გაღრმავებისათვის შემაფერხებელ ასპექტებს:

- ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტების – მუჰამად ხათამის, მაჰმუდ ახმადინეჟადისა და ჰასან რუჰანის მმართველობის პერიოდში (2004-2016 წ.წ.) უმაღლესი დონის ვიზიტები ქვეყნებს შორის აღარ გამართიულა (ამ წლებში უმაღლესი დონის გაცვლითი ვიზიტები მეზობელ სომხეთსა თუ აზერბაიჯანში რამდენჯერმე ჩატარდა).
- საქართველოს მიერ აშშ-ისათვის ირანის მოქალაქის ამირჰოსეინ არდებილის დაჩქარებული წესით ექსტრადიცია. (2008 წლის იანვარში ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა მანუჩერ მოთაქიმ ამ საკითხის განხილვა პრეზიდენტ სააკაშვილის ინ-

⁴ ამავედროულად ირანი საქართველოს შიიტური ისლამის მიმდევარ ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოქალაქეებს უფინანსებდა სწავლას და ცხოვრებას ქ. ყუმის სასულიერო სემინარიებში (მედრესებში).

აუგურაციაზე ჩამოსვლას დაამთხვია. საკითხის გადაუწყვეტელობამ ირანულ-ქართული პოლიტიკური ურთიერთობების საგრძნობი გაცვივება გამოიწვია, რაც თეირანში საქართველოს საელჩოს სამუშაო რეჟიმზეც აისახა).

- ბირთვული პროგრამის გაუმჭვირვალეობის გამო დასავლეთის მიერ ირანისათვის დაწესებული სანქციების კვალდაკვალ, საქართველომაც გაუყინა საბანკო ანგარიშები ფულის გათეთრებაში ეჭვმიტანილ ირანულ კომპანიებსა და მენაბრეებს, რამაც დააზარალა მრავალი რიგითი ირანელიც. ამას მოჰყვა 2013 წლის 1 ივლისიდან საქართველოს მხრიდან ირანთან უვიზო მიმოსვლის შეთანხმების ცალმხრივად შეწყვეტა (აღსანიშნავია, რომ ეს ფაქტი ორიოდე დღით უსწრებდა ირანის ისლამური რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტის ჰასან რუჰანის ინაუგურაციის ცერემონიას).

საქართველოს ხელისუფლების ამ ნაბიჯებმა მკვეთრად უარყოფითი შეფასება მიიღო ირანის ოფიციალურ წრეებში, ექსპერტებსა და რიგით მოქალაქეებში. მიუხედავად ამისა, თეირანმა მაინც თავი შეიკავა საპასუხო ქმედებისაგან და საქართველოს მოქალაქეებისათვის უვიზო რეჟიმი შეინარჩუნა. ბოლო თვეებში, საქართველოში ელექტრონული ვიზების სისტემის ამოქმედების შემდეგ, ვითარება შედარებით გამოსწორდა.

დღევანდელი საქართველო-ირანის ორმხრივი ურთიერთობები ირანის ბირთვული პროგრამის გარშემო მიმდინარე საერთაშორისო პოლემიკის, აშშ-ის, ევროკავშირისა და გაეროს მიერ ირანის ისლამური რესპუბლიკისათვის დაწესებული ეკონომიკური სანქციების მოქმედების ფონზე უნდა ჩამოყალიბებულიყო, რაც სულაც არ იყო ადვილი ამოცანა საქართველოს მთავრობისათვის. საქართველო ფორმალურად შეუერთდა გაეროს სანქციებს ირანის ისლამური რესპუბლიკის მიმართ, თუმცა ამას ისედაც „ცივ“ ორმხრივ ურთიერთობებზე მნიშვნელოვანი გავლენა აღარ მოუხდენია.

ირანის ბირთვული პროგრამის გარშემო არსებული დაძაბულობის განმუხტვამ 2015 წლის ზაფხულში ვენაში შეთანხმებულმა „ერთობლივი ღონისძიებების კომპლექსურმა გეგმამ“ (გაეროს უშიშროების საბჭომ 20 ივლისს მიიღო რეზოლუცია, რომელიც საერთაშორისო კონტროლის ქვეშ აყენებს ირანის ბირთვულ პროგრამას) და შესაბამისად, გაეროს, აშშ-ისა და ევროკავშირის მხრი-

დან ირანის მიმართ ეკონომიკური სანქციების შესაძლო მოხსნამ ორმხრივ ურთიერთობებს ახალი პერსპექტივები გაუჩინა.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ ირანის ბირთვული პროგრამის გარშემო მიმდინარე მოლაპარაკებების დასრულებამდე საქართველოს ხელისუფლების მიერ უმაღლესი (იგულისხმება საქართველოს პრემიერ-მინისტრის შეხვედრა ირანის პრეზიდენტთან გაეროს გენერალური ასამბლეის ფორმატში) და მაღალი დონის შეხვედრებზე გაუღერდა პოლიტიკური ნება ახალ საფეხურზე აყევანათ ორმხრივი ურთიერთობები.

შესაბამისად, 2014-215 წლებში ჩატარდა რიგი ღონისძიებები და ვიზიტები:

- საქართველოსა და ირანს შორის საერთაშორისო-სახმელეთო გადაზიდვების სფეროში თანამშრომლობის ერთობლივი კომისიის მეხუთე სხდომა (2014 წ.);
- ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ებრაჰიმ რაჰიმფურის ვიზიტი თბილისში (2014 წლის 5 მარტი);
- ირანის სავაჭრო-სამრეწველო პალატის დელეგაციის ვიზიტი (2014 წლის სექტემბერი);
- საქართველო-ირანის და ირან-საქართველოს საპარლამენტო მეგობრობის ჯგუფების გაცვლითი ვიზიტები საქართველოში (2014 წ.);
- საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის ვიზიტი თეირანში (2014 წლის ნოემბერი);
- საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის ვიზიტი ირანში (2015 წლის იანვარი).
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ (2016 წლიდან – საქართველოს პრემიერ-მინისტრის) გიორგი კვირიკაშვილის ვიზიტი თეირანში (2015 წლის 18-19 მაისი). ამ ბოლო ვიზიტის ფარგლებში თეირანში სამთავრობათაშორისო ეკონომიკური კომისიის სხდომაც ჩატარდა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსა და ირანის პოლიტიკური ორიენტაციები სერიოზულად განსხვავდება ერთმანეთისაგან – საქართველო ევროინტეგრაციის გზას დაადგა ნატოში გაწევრიანების პერსპექტივით, ხოლო შიიტური ირანის ისლამური

რესპუბლიკას, როგორც რეგიონული გავლენის მქონე სახელმწიფოს, თავისი პოლიტიკური ინტერესები აქვს უშუალო მეზობლებსა თუ აშშ-ისა და დასავლეთის მიმართ, ორი ქვეყნის ურთიერთობებში არ არსებობდა და დღესაც არ არსებობს ისეთი შეუთავსებლობები, რომლებიც სერიოზულ წინააღმდეგობებს გააჩენდა ორმხრივი ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის განვითარებაში. ირან-საქართველოს შორის ურთიერთობების არსებული პოტენციალის სრულად ამოქმედება, როგორც სავაჭრო-ეკონომიკურ, ისე, განსაკუთრებით, ენერგეტიკისა და სატრანსპორტო-საკომუნიკაციო (ტრანზიტი) სფეროში, ორივე მხარისთვის მომგებიანი და სასარგებლოა.

საქართველოს მიერ ევროკავშირთან „ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის“ ხელშეკრულების ხელმოწერა კარგ შესაძლებლობებს აჩენს ჩვენი პარტნიორების, მათ შორის, ირანის ისლამური რესპუბლიკის საქმიანი წრეებისათვის, რომ საქართველოში სერიოზული ინვესტიციების ჩადების შემთხვევაში იზრუნოს ევროკავშირის ბაზარზე საერთო წარმოების პროდუქციის გასატანად.

სამწუხაროდ, დღევანდელი პოლიტიკური ვითარება სწრაფად ცვლად ახლო აღმოსავლეთის უკიდურესად დაძაბულ და არაპროგნოზირებად რეგიონში, სადაც საქართველოს მეგობარი, პარტნიორი თუ მეზობელი ქვეყნების ინტერესების თანხვედრას ან შესაძლო უთანხმოება ირანის ისლამურ რესპუბლიკასთან ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის გამოკვეთილი, საქართველოს მთავრობისაგან ირანის მიმართ კვლავ მოზომილი პოლიტიკის გატარებას ითხოვს.